პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია

1. პროფესიული მომზადება/გადამზადებისპროგრამების მსმენელთა შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგ ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

2. გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის განმეორებითი შეფასება ერთჯერ, წერილობით. განმეორებითი შეფასება შეიძლება განხორციელდეს პროგრამის სასწავლო პროცესის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2[1]. „თუ
შედეგი არის სხვა შედეგზე დაშვების წინაპირობა, მაშინ განმსაზღვრელი შეფა სებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს ს წავლის შედეგი დაადასტუროს 5-
ხუთი სამუშაო დღის ვადაში იმ შედეგის დაწყებამდე, რომელ შედეგზე დაშვე ბის წინაპირობასაც წარმოადგენს აღნიშნული შედეგი“

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 10 მაისის N 44 „ო“ ბრძანებით.

3. განმეორებითი შეფასების მოთხოვნა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით (განცხადება) შედეგის დადას-ტურების 5 დღიანი ვადის პირველ 3 დღეში.
4. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელი ვერ იღებს უფლებემოსილი დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს-სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას.

5. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პროფესიული მომზადება/ გადამზადების პროგრამების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას, თუ ის არ წარმოადგენს სხვა შედეგის წინაპირობას.

6. შეფასების მიმართულებები/შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამის პროფესიულ მომზადე-ბა/გადამზადების პროგრამაში.

7. იმ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამებში, რომლის ზოგიერთი სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოში/კომპანიაში) მისაღწევი სწავლის შედეგის შეფასებას ახორციელებს გამოყოფილი ინსტრუქტორი.
8. პროგრამის განმახორციელებელი/ინსტრუქტორი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე შედგენილ უწყისებს, პროგრამის დასრულებიდან არაუმეტეს 2 კალენდარული დღისა, გადასცემს კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორს.

შეტანილია ცვლილება კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N 57 „ო“ ბრძანებით.

9. **შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები/მტკიცებულებები ინახება 3 წელი, შეფასების უწყისები მუდმივად.**